საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№20 (6395) 16 თებერვალი შაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

* რაც ღვთისგან ნაბოძებია II გვ.
* მხატვრული ნაწარმოები—აღზრდის სამსახურში II-III გვ.
* რა მცირე გზა ჩანს ახლა აქედან III გვ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს რეფერენდუმის არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრირებული პარტიების სია

1. საქართველოს შრომის პარტია
2. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი
3. საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია
4. საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტია
5. საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური სამართლიანობის პარტია
6. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება
7. საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი
8. საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია
9. საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია
10. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია
11. საქართველოს ჰელსინკის კავშირი
12. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
13. სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება
14. სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტია
15. საქართველოს სახალხო ფრონტი
16. სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება
17. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „დემოკრატთა კავშირი“ (ახალქალაქი)
18. საქართველოს რესპუბლიკური პარტია
19. საქართველოს სამართლიანობისა და ეროვნული ერთიანობის პარტია
20. საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი
21. საქართველოს დემოკრატიული სახალხო ფრონტი
22. ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება
23. საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი
24. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „სვანეთი“
25. სრულიად საქართველოს 9 აპრილის კავშირი
26. საქართველოს მთიელთა კავშირი

ცაგერის ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ წევრთა სია

თავმჯდომარის მოადგილე—**ყურაშვილი** ზაზა ავდილის ძე—ცაგერის კულტ. სახლის რეჟისორი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

წევრები

კოპალიანი ნუგზარ გრიგოლის ძე—სამხატვრო სკოლის პედაგოგი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი

სადილიანი ციცო ამბროსის ასული—ცაგერის ბიბლიოთეკის გამგე, საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი

ახვლედიანი ნუნუ სერაპიონის ასული—№ 23 საგზაო სამმართველო, ეკონომისტი, უპარტიო

ფუტკარაძე ალეკო ნიკოლოზის ძე—ცაგერის კავშირგაბმულობის ტექნიკოსი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება

ცაგერის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის მისამართია:

ქ. ცაგერი, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს შენობა. ტელეფონი 25-99

ქართული ეროვნული გვარდია

საქართველოს ეროვნული გვარდია. მრავალი ათეული წელი ოცნებობდა ამაზე ქართველი კაცი და აი, ოცნება რეალობად იქცა. ამ დღეებში ინტენსიურად მიმდინარეობს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ახალგაზრდების გაწვევა. უკვე ჩამოყალიბდა პირველი ათასეული, რომელიც ძირითადად 18-დან 25 წლამდე წვევამდელებით დაკომპლექტდა. მართალია, ქართველ გვარდიელებს ჯერჯერობით თავიანთი ფორმა არ გააჩნიათ, მაგრამ ეს საკითხიც უახლოეს ხანში გადაწყდება.

ამჟამად ახალგაზრდები სამხედრო მომზადებას გადიან—ეცნობიან სამწყობრო იარაღების დანიშნულებას. იწრთობიან ფიზიკურადაც და სულიერადაც, რადგან ამგვარ გვარდიას შეუძლია აღასრულოს თავისი წმიდათაწმიდა მოვალეობა, დაიცვას მამული.

გაზაფხული კარზეა!

მოვამზადოთ თესლი, ტექნიკა

სწრაფად მიდის დრო. მიუხედავად ათასგვარი საფიქრალ-საზრუნავისა, რაიონის სამეურნეო ორგანიზაციების უპირველესი საქმე ახლა გაზაფხულისათვის მზადებაა. პირველ რიგში თესლისა და ტექნიკის მომზადებაა მთავარი, რომ რაც შეიძლება დროზე და ხარისხიანად წარიმართოს ნიადაგის ხვნა, ხნულისათვის ჯანსაღი თესლის მიბარება. ჩვენი ჩავარდნილი ეკონომიკის შემხედვარე, უპირველესი გამოსავალი მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, მარცვლეულის მოსავლიანობის ზრდაა.

სულ სამი სახნავი ტრაქტორია ლაილაშის კოლმეურნეობაში. მოწინავე მექანიზატორებმა მიტუშა მესხაძემ და ნოდარ ქარსელაძემ ჯერ კიდევ შემოდგომაზე იზრუნეს ტექნიკის რემონტზე და ახლა ბევრი შრომა აღარ სჭირდებათ სახნავი ტრაქტორების, ფარცხებისა და გუთნების წესრიგში მოსაყვანად. ხოლო მესამე ტრაქტორი სარემონტოა და დროზე უნდა მიიღონ ზომები მისი შეკეთებისათვის.

რაც შეეხება თესლის მომზადებას, კოლმეურნეობას სათესლე მასალა არა აქვს, რადგან გასულ წელს გლესურ მეურნეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით მოიჯარეებს კოლმეურნეობისათვის საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მარცვლეული არ ჩაუბარებიათ. ამიტომ ცაგერის თესლეულისა და სარგავი მასალის სახელმწიფო ინსპექციის სპეციალისტები მზად არიან მოსახლეობისაგან კონდიციურობის შემოწმების მიზნით მიიღონ სიმინდისა და ლობიოს სათესლე მასალა.

გაზაფხული კარზეა. აქედანვე მივიღოთ ზომები, წლის მოსავალს დროზე ჩავუყაროთ მყარი საფუძველი.

ეკონომიკა: შედეგები, პერსპექტივები, პრობლემები

გაჩნდა კომერციული აზროვნება

საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი ეკონომიკური სიძლიერე თითოეული ჩვენთაგანის მუხლჩაუხრელი შრომით, თავდადებით, ერთგულებით, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით მიიღწევა. პრაქტიკული საქმის გარეშე ძნელია ლაპარაკი რაიმე მიღწევაზე. ეს ყოველივე ესმით ცაგერის სასურსათო კომბინატის მშრომელებს. დღეს, როცა საბაზრო ეკონომიკას, გვინდა არ გვინდა, ვერც ჩვენ გავექცევით და იგი სამწუხაროდ ეკონომიურად სუსტის, ღარიბის მხრებზე გადაივლის, სხვა გზა არ არის, საქმეს მეურნეობრივი ალღო, ანგარიშიანობა, გერგილიანობა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხი თუ უშველის.

გასულ წელს ცაგერის სასურსათო კომბინატმა უღალატა წლების მანძილზე ტრადიციად ქცეულ ზარალიანობას, გამოცოცხლდა საქმე, გაჩნდა კომერციული აზროვნება და წინსვლის პერსპექტივებიც გამოჩნდა. გამოშვებულ იქნა 1. 602. 000 მანეთის პროდუქცია 1. 450. 000-ის ნაცვლად, რეალიზებულ იქნა 850.500 მანეთისა 850.000-ის ნაცვლად. გადაჭარბებით შესრულდა ხილის კონსერვების, ლიმონათის გამოშვების გეგმები. მოგება წინა 1989 წელთან შედარებით 67.000 მანეთით გაიზარდა. მიღწეულით მიმდინარე წლის უკეთესი შედეგების საიმედო წანამძღვრები შექმნეს.

მაინც რა პროდუქცია გაუგზავნეს მომხმარებელს მშრომელებმა. მათი წარმატების საიდუმლოება ასორტიმენტის მრავალფეროვნება გახდა. ვაშლის, ქლიავის ტყემლის.. წვენები, კომპოტები, მურაბები და სხვა.

ტონობით სულფიდირებული პიურე ბუნკერებში შეინახეს ნახევარფაბრიკატის სახით. ეს იმიტომ, რომ მუშებს სამუშაო წლის ყოველ დროში ჰქონოდათ, მით უფრო სეზონზე უხვად შემოზიდული ხილის გადამუშავებას ვერ აუდიოდნენ და ახლა თანდათანობით ამუშავებენ წლის განმავლობაში.

ამჟამად კომბინატში მიმდინარეობს ხილფაფის, ჯემის მოსახარში აპარატურის დამონტაჟება და როგორც კი დასრულდება, დაიწყებენ პროდუქციის გამოშვებას, რომელზეც მოთხოვნილება არის და მიწოდებაზე ხელშეკრულებებიც დაიდო.

ზამთრის ამ დღეებში კომბინატის მშრომელთა ერთი [illegible] დასაქმებულია ნედლი სპირტის გამოხდაზე. სპირტი მიიღება ვაშლის წვენისაგან. იგი იგზავნება მარნეულში, სადაც საბოლოო სახეს იღებს. ჩვენ ყველამ ვიცით სასმელი „თამარისი“, რომლის ნედლეულად ჩვენებური ლეჩხუმური არომატული ხილის სპირტმასალაც გამოიყენება. სულ 50 ტონა სპირტნედლეული უნდა დაამზადოს კოლექტივმა.

მიმდინარე წლის სიახლეებზე ვკითხეთ კომბინატის დირექტორს ყორა კუხალაშვილს. არა ერთი

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეკოლოგია: მცირე ჰესმბი — მოქმედებაში

რაც ღვთისგან ნამოძღვია!...

ბევრი ლამაზი და მიმზიდველი ბუნებრივი სიმდიდრეა ჩვენს მიწაზე. ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭული თავისებურად მომხიბლავია. იქნებ ამიტომაა, რომ საქართველოს სილამაზით თვალდამდგართა სამტროდ და სათარეშოდ იყო ოდითგან ქცეული ჩვენი მიწა.

ამ მიწის შვილები ვართ და ჩვენი კუთხე, ჩვენი ლეჩხუმი მაინც განსაკუთრებულად, გამორჩეულად მოგვწონს და გვიყვარს, მაგრამ ამ სილამაზეს სხვა რომ დაინახავს, მაშინ უფრო გვიძლიერდება ეს სიყვარული.

მართლაც საოცარი ხალხი ვართ ქართველები, გასართობად არა გვაქვს საქმე და მაინც გასართობს ვეძებთ, არ გვემღერება და ვმღერით, ცეკვის დრო არაა და ვცეკვავთ. ასე არ იყო იმ დაწყევლილ 9 აპრილის ღამესაც, როცა ცეკვა-სიმღერაში გათენების მომლოდინე ახალგაზრდების სისხლიანი კალო დაგვიყენეს რეზინის „ღუბინკებიანმა" და ხელბარიანმა იმპერიის მსახურებმა, სპეციალურად გაწვრთნილმა წითელარმიელებმა.

თუ ეს გასაჭირი გვიახლოვდებოდა, რა დღეშიც დღეს ვართ, არც მაშინ გვქონია გასართობად საქმე, როცა ამ 8-9 წლის წინათ ჩვენს ცნობიერებაში სულ სხვა მნიშვნელობით ამოტივტივდა „რაჩხა", „მწვანე თეატრი", „შრომის სახლი", „სურათების გალერეა", ეგრეთწოდებულ ბრზანალის ღელის ჩანჩქერთან გაკეთებული მრავალსაფეხურიანი რკინის კიბეები ხომ სულ გვავიწყებდა ყველაფერს. ცაგერობაზე მოწვეული მრავალსტუმრიანობის მოლოდინში თითოეული ჩვენგანი რაჩხისა თუ მწვანე თეატრის რომანტიულ გარემოში თავმომწონედ და ლაღად ვგრძნობდით თავს. „ცაგერობა" ლამის რესპუბლიკური მნიშვნელობის დღესასწაულად გადავაქციეთ და თავს არ ვზოგავდით, ოღონდაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული სტუმრისთვის რაც შეიძლება სალაღობო გარემო შეგვექმნა. არა, წარსულის ქირდვა და ძველის განქიქება სრულებითაც არ მაქვს მიზნად, მაგრამ მავანთა და მავანთა ქილიკი მაშინვე გვესმოდა—მწვანე თეატრი თუ არა, აუტანლდებათ იქაურობა, პერანგი არ გქონდეს და პენუარს ეძებდეო, —ისევ მწვანე თეატრზე იყო ნათქვამი. სწორედ ეს რომ არ ეთქვათ, ამიტომ იყო, რომ გასართობად შერჩეული რაჩხის ხეობის ამ ლამაზ ადგილზე 40 წლის წინათ ელექტროსადგურისათვის აშენებულ კაპიტალურ შენობაზე ქვაზე ამოკვეთილი წარწერა „რაჩხაესი" უარვყავით და მოპირდაპირე გვერდზე „მევენახის სახლი"—წარწერა გავუკეთეთ. შიგ ლამაზეტიკეტებიანი ბოთლებით ლეჩხუმში გავრცელებული სხვადასხვა ჯიშის ყურძნისაგან მიღებული სამარკო ღვინოების გამოფენაც მოვაწყვეთ, აქვე თვალსაჩინო ადგილი ლეჩხუმელ მევენახეთა და გამოჩენილ მეღვინეთა სურათების გამოფენას დავუთმეთ. რაჩხამდე ასფალტირებული გზის გაყვანა დაუბრკოლებლად შევძელით.

ეს იყო და ეს, იქ შესული მევენახე არავის უნახავს, თუ არ ჩაეთვლით, ერთადერთ ღონისძიებას, როცა ერთმა აქაურმა მევენახემ შრომითი ესტაფეტა გადასცა ახალგაზრდებს, ესტაფეტა კი გადასცა, მაგრამ ამ ჭიშკრის იქით მევენახეობაზე არცერთ მათგანს არ უფიქრია.

თქვენი არ ვიცი, ჩემო მკითხველო, და მე კი მივსტირი იმ გადაყრილ თანხებს. მხოლოდ სხვის მოსაჩვენებლად ,,ანახოობათა" მოწყობისათვის ღამისთევაში ჩაკარგული ენერგია მენანება. მავანი დიდგულზე რომ წამოგადგებოდა თავს და ვაი შენი ცოდვა, თუ კორდის დაგებაში მაინც არ გექნებოდა შენი წვლილი შეტანილი. არადა ამ დროს რამდენი სხვა რამ უფრო აუცილებელი აკლდა და აკლია ჩვენს სოფლებს.

მევენახის სახლში მევენახის გარდა ვინ არ დადის ზაფხულის პაპანაქება სიცხეში. აქ ხშირად შეხვდებით წყალტუბო-ქუთაისიდან საქართველოს კურორტებზე ჩამოსულ ოქროსფერთმიან რუსის ქალებს მზის სხივების მიღება ქართველი მამაკაცების წყალობით ამ იდილიურ გარემოში რომ მოუწადინებიათ, ეს არც თუ ისე კარგი მაგალითია ამ ახლომახლო მღებარე სოფლის მოზარდებისთვის.

რაჩხა... მართლაც საოცრად ლამაზია მთის ეს რძისფერი მდინარე, ზათქითა და ხმაურით რომ მოქუხს უზარმაზარი ფერდობიდან. მისი სიგრძე სათავიდან ცხენისწყლის შესართავამდე 3-4 კილომეტრს არ აღემატება. ეს ის რაჩხაა, ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში პირველმა რომ შეცვალა ლამპის შუქი და ელექტროენერგია მიაწოდა აქაურ სოფლების მცხოვრებთ. მისი სიმძლავრე 272 კილოვატი იყო, მაგრამ იყო ყოველგვარი საშუალება იმისა, რომ სიმძლავრე 2-ჯერ, სამჯერ მაინც გაზრდილიყო. იგი აქაურ მოსახლეობას 1970 წლამდე ეწახურებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ლაჯანურჰესის ელექტროენერგიის მიწოდება გახდა შესაძლებელი, ამ მცირე სიმძლავრის ჰესმაც ფუნქციონირება შეწყვიტა. ახლა, როცა ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტზეა ლაპარაკი, რესპუბლიკის მთელ რიგ სამრეწველო ცენტრებში ფაბრიკა-ქარხნები ელექტროენერგიის უქონლობის გამო გაჩერებულია და ვინ იცის, კიდევ რა მოხდება. უმჯობესია, თუ რაჩხა თავის ფუნქციებს დაიბრუნებს და ჩვენი მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის მიმწოდებლად გადაიქცევა.

ამას წინათ ხმა დაირხა, რაჩხას, როგორც ყველაზე სუფთა და სასარგებლო შემადგენლობის მთის მდინარეს, უცხოელებმა დაადგესო თვალი. ეს არ ვიცი რამდენად სიმართლეა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების მქონე, ცენტრისაგან ეკონომიკურ ბლოკადაში მყოფ ჩვენს რესპუბლიკას ამ გასაჭირის უამს გამორიცხული არცაა, ვინმე ჩასაყლაპად დაეპატრონოს.

ამ წუთში, ზამთრის ამ თოვლიანობაზე, როცა არავის სჭირდება რაჩხა, უპატრონოდაა იქაურობა. შენობის რკინის კარები ჩამოვარდნილია და ჯერჯერობით იქვეა დაგდებული, ორი ოთახის ხის კარები კი ჩამოხსნილი და წაღებულია. არც ერთი ლამაზეტიკეტიანი ბოთლი ადგილზე აღარაა. ერთ დროს სახელდახელოდ მოწყობილი აქაურობა გაპარტახებულია. მისი ლამაზი ქართული ჭიშკარი თაკდაყირაა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთ დროს 87.629 მანეთად ღირებული ამ შენობის ინვენტარ-მოწყობილობიდან აღარაფერი შემორჩენილი არაა, ადვილი შესაძლებელია, თუ დროზე არ მივეშველებით, აქაურობას არ დავეპატრონებით, არც ახლა დაადგება კარგი დღე.

მინდოდა მხოლოდ რაჩხაჰესის აღდგენაზე მოკლედ მეთქვა, გულისტკივილი ვერ დავფარე და გრძლად ნათქვამი გამომივიდა. ერთი სიტყვით, ჩვენ ყოფნა—არ ყოფნის დრო გვიდგას და ახლა მაინც გამოვფხიზლდეთ, რომანტიკისათვის არავის სცალია. საქმეს მოვკიდოთ ხელი და აღვადგინოთ რაჩხაჰესი.

და თუკი ვინმეს იმის სურვილი ექნება, რომ დატკბეს მისი სილამაზით, ელექტროსადგურად გადაქცევის დროსაც არ მოაკლდება მშვენიერება, პირიქით, უფრო ორგანიზებული გახდება აქ დამთვალიერებელთა მისვლა და რაჩხის სტუმარ-მასპინძლობას ასე განუკითხობის ელფერი აღარ ექნება.

თქვენ რას იტყვით, მკითხველო?

ჯ. მანდარია.

გაჩნდა კომერციული აზროვნება

ეროვნული აზროვნების ოთახი

(დასასრული)

კარგი ჩანაფიქრი გვაქვსო, გვითხრა. ამჟამად მიმდინარეობს ლიმონათის საამქროს ახალი ხაზის მონტაჟი, რომელიც თუ მანამდე არა, მარტის ბოლო რიცხვებში მაინც დამთავრდება. რაც საშუალებას მოგვცემს გავზრდოთ ლიმონათის გამოშვების მოცულობა და ხარისხიც, ბუნებრივია, ვფიქრობთ. ლიმონათის პარალელურად ახალი უალკოჰოლო, არომატული, იაფი სასმელიც შევქმნათ, მაგრამ ამაზე მერე ვილაპარაკოთ, როცა საქმით შევასრულებთო.

ზევით კომერციული აზროვნება ვახსენეთ. კომბინატი ცდილობს ისეთი პროდუქცია შექმნას, რომელზედაც მეტია მოთხოვნილება და გაყიდოს, ან გაცვალოს ისეთზე, რომელიც თავად კომბინატს, რაიონს სჭირდება. ეს კი დაინტერესებს ორივე მხარეს, ხელს შეუწყობს მეტი და ხარისხიანი პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას.

კომბინატში ახლა კვლავ რეკონსტრუქცია—გაფართოების სამუშაოები გრძელდება. მშენებლობაში შეფერხებები, მასალების ნაკლებობა, რა თქმა უნდა, სიძნელეებს ქმნის. საყვედურიც წამოსცდებათ მშენებელი ქუთაისხუ მოძრავ-მექანიზებული კოლონის მიხამართით, მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში მშენებლობის დაკონსერვება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, სამწუხაროა, რა უნდა ქნან, თავს ზევით ძალა არ არის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება პროდუქციის ახალი სახეების წარმოებასა და რეალიზაციას, რეკლამას, ხარისხს, მის სამომხმარებლო თვისებებს ეხება. ეს ყველაფერი მწარმოებლის პრესტიჟია. ამიტომაც ეძიებენ ახალ გზებს, საშუალებებს. შეიძლება წელს საჯარო ურთიერთობაშიც ჩაერთონ, არის ამაზე საუბარი, ჯერჯერობით დოკუმენტაციაზე მუშაობენ, მონაცემებს აკონტროლებენ, ვნახოთ...

მ. ძნელაძე.

მრეწველი სკოლა

მხატვრული ნაწარმოები — აღგზრდის

ბრაბიზმითა და ქარტეხილებით აღსავსე ჩვენს დროში განსაკუთრებული როლი ეკისრება ადამიანის ინტელექტს, სიბრძნეს და გონიერებას, რათა მღელვარე ცხოვრების პირობებში ღრმად გაანალიზდეს სამშობლოს დღევანდელი სახე და ხალხი დარწმუნდეს საქართველოს ეროვნული თავისუფლების მზის ბოლომდე ამობრწყინებაში, განმტკიცდეს თავკაცთა პოზიციები, თავგამეტებით რომ იბრძვიან თანამემამულეთა თავისუფლებისათვის.

ბრძოლის ამ გზაზე გამოკვეთილად ჩანს ახალგაზრდობის როლი, რომელთაც შეუპოვრობა და გულგაუტეხლობა ღვთითა აქვთ დანათლული, მაგრამ მთავარი მაინც პროფესიონალიზმია, რომელიც ურყევ საფუძველს ქმნის მამულისა და ერის ერთგული სამსახურისათვის.

საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე უკეთესი მომავლისათვის უხდებოდა ბრძოლა. ახალ ცხოვრებას ახალი ტიპის საზოგადო მოღვაწე სჭირდებოდა. ასეა დღესაც. ამის თაობაზე მიმდინარეობს ჭიდილი ძველსა და ახალ თაობებს შორის.

ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი იაკობ გოგებაშვილი გვასწავლის—„ახალი ტიპის ადამიანს უნდა ჰქონდეს ძლიერი გონება, რეალური ცოდნა, მტკიცე ნებისყოფა და ხასიათი, სახალხო საქმის თაოსნობის უნარი სამშობლოსა და ხალხის მგზნებარე სიყვარული, მაღალი ადამიანური გრძნობები, თავისი თავის იმედი, თავაზიანობა, დარბაისლობა, სინდისი და პატიოსნება".

აი, როგორი ადამიანი სჭირდება დღეს საქართველოს, რაშიც გადამწყვეტი როლი სკოლას ეკუთვნის. მეც, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მინდა გამოვკვეთო მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელობა ამ მიმართულებით.

მეხუთე კლასში ისწავლება იაკობ გოგებაშვილის საუკეთესო თ'ზელება „იავნანამ რა ჰქმნა?!" ვიდრე ნაწარმოებს შევეხებოდე, ბავშვებს მოვაგონებ დედის რძესავით ტკბილ „დედა ენას"—წიგნს, პირველად აღებულს მათ ხელთაგან მოწაფეობის დასაწყისში. რამდენი სითბო სიყვარული, ზრუნვა და თავდადება ჩანს მასში პატარებისადმი, ასე უშურველად რომ ჩააქსოვა სახელოვანმა მამულიშვილმა.

მოსწავლეების წინაშე გოგებაშვილს წარმოვაჩენ ქართველი ხალხის მოჭირნახულეს და ქართული ენის დიდ მოამაგეს. ილიასა და აკაკისთან ერთად მისი პრესტიჟის ვაჟკაცურად დამცველს.

იაკობს არ ჰყავდა შვილები, ოჯახის შექმნაზე უარი თქვა, პირადული საზოგადო საქმეს შესწირა, ქართველი ხალხის შვილები მიიჩნია საკუთარ შვილებად, ამიტომ იყო სიყვარულით გარემოსილი, თუმცა დაუგვიანდათ პატივი მიეგოთ მისი ღვაწლისათვის სიცოცხლეშივე.

ეს ბოლო ადგილი ეკუთვნის ,,ბავშვებს". ,,ბავშვებს" ეს ,,ბავშვებს" ,,ბავშვებს" ,,ბავშვებს"

გადასახედი

რა მცირე

დრო უსაშველოდ სწრაფად გარბის და არც კი გვჯერა, თუ მარად შემართული და დიდი ენერგიის მქონე სახელოვანი შემოქმედი სევერიან მიხეილის ძე კოპალიანი ამ რამდენიმე დღის წინ ოთხმოცი წლისა გამხდარა.

რვა ათეულმა წელმა გადიგრიალა მუდამ ძიებით აფორიაქებულ მის ცხოვრებაში, კეთილშობილ ბუნებას გაფრენილი წლების სინანულიც შეერია, მაგრამ მისი თვალებიდან დღემდე იხედება სცენაზე გმირის შესაქმნელად შთაგონებული ბიჭუნა.

ხანდაზმულობის დამძიმებულ წლებს მიტანებული თავის არსებაში იმ მოუსვენარ ახალგაზრდობას დაატარებს, ლეჩხუმის თეატრალურ ისტორიაში რომ თქვა თავის სათქმელი.

ოთხმოცი წელი ეს არის შრომის, ძიების, წარმატების, ზოგჯერ დამარცხების, მაგრამ მაინც ბედნიერი წლები, რადგან თავისთავად ბედნიერებაა ათეული წლები ემსახურო საყვარელ საქმეს, ადამიანის სულიერ აღზრდას, ოთხასამდე გმირის სიცოცხლით იცხოვრო, ოთხასჯერ გარდაისახო და ამრავლო თაყვანისმცემელთა რიცხვი.

დიდი სიამოვნებით ვიგონებ მასთან მუშაობაში განვლილ ათეულ წლებს. სევერიან კოპალიანი თეატრალური ცხოვრების შემოქმედთა იმ რიცხვს ეკუთვნის, ვინც დაუღალავი ძიებით აკსებდა და ამდიდრებდა ლეჩხუმის თეატრალური ცხოვრების ისტორიას დრამატული წრიდან სახალხო თეატრამდე.

რამდენი წინააღმდეგობა გადალახავს როგორც კულტურის სახლის დირექტორს, დამდგმელ რეჟისორს, მსახიობს. საკუთარი მხრებით ზიდა თეატრის სიმძიმე, რამდენი უძილო ღამე დასთენებია მასზე ფიქრით, სცენის მტვერი ჩაუყლაპავს, რომ საქმე ხელწაღმართიანად ეკეთებინა. სრულიად გასამრჯელოს გარეშე მისი

გზა ჩანს

ხევები იშლებოდა მაყურებლის წინაშე. გაიხსენეთ „მარუხის ტრაგედია“, „ხევისბერი გოჩა“, „ირმის ხევი“ და მრავალი სხვა.

მასთან მუშაობა დიდი სკოლა იყო, სადაც ორ ათეულ წელზე მეტი მეც მის მოწაფედ ვითვლებოდი. ყველასთან მამა-შვილური და თავაზიანი, ძალზე მომთხოვნი და პრინციპული როგორც საკუთარი თავისადმი, ისე თანამშრომლებისადმი. თავისუფალი დრო ჩვენთვის არ არსებობდა. შემოქმედება და დისციპლინა ხომ განუყოფელიაო,—ხშირად შეგვახსენებდა. თვითონ ხომ ყოველ რეპეტიციაზე რაღაც სიახლე მოჰქონდა. მანამ არ მოგვეშვებოდა, იმდენს გამუშავებდა, სანამ სრულყოფილ სახეს არ შექმნიდი.

მახსენდება ცაგარელის პიესა „ლეკის ქალი გულჯავარი“. თვითმკვლელობის სცენა არ გამოდიოდა. პრემიერაა, მონოლოგი დავამთავრე, დანა მოვიმარჯვე და მესმის კულისებიდან სევოს დაყვავებული ხმა—ისე გააკეთე, როგორც გინდოდესო. ხშირად მიხდებოდა მასთან ურთიერთობა უკეთეს პარტნიორს ვერ ინატრებდი. განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში მისი გაიოზი, გუნიას „და-ძმა“. ალბათ, მართლა ძმასავით რომ მედგა მხარში, ამიტომ ვაიმარჯვა ამ პიესამ. სევო (ახლ ვეძახდით) ერთნაირი სიძლიერით ძერწავდა დრამატულ თუ კომედიურ სახეებს. მისი ხახული („კოლმეურნის ქორწინება“) ხომ განუმეორებელია. ვინ დაიჯერებდა, რომ ის პროფესიონალი არ იყო.

ამ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული რეჟისორის ყოველი სპექტაკლი შემოქმედებითი კოლექტივის, მისი თავკაცის ახალი გამარჯვება იყო, ამიტომაც იდგა გაუთავებელი რიგი სალაროს აზრით და ხელებით კეთდებოდა რთული დეკორაციები, მთები და

ახლა აქედან

პრემიერაზე (ნინოშვილის „ქრისტინე“) მაყურებელი ფეხზე დგომის ბილეთებს ითხოვდა. სევომ გამოათრია ბილეთებით სავსე ტომარა და შეკვრები ამოიღო, ვინ უთვლიდა, ვანა მანეთს დააკლებდა? კაპიკს-კაპიკზე ადებდა, მას ვერ წარმოედგინა რაიმე ანგარება, ამიტომაც ვიყავით ყველა მის წინაშე მოკრძალებული.

როცა სევერიან კოპალიანზე ვლაპარაკობ, ყოველთვის უკმარისობის გრძნობა მეუფლება, ალბათ იმიტომ, რომ კიდევ დამრჩა ბევრი რამ, რაც ვერ ვთქვი, ვერ ამოვხსენი ასეთ საოცარ ადამიანში. ახლაც მიკვირს, როგორ დაითანხმეს შემოქმედებითი მუშაობის 40 წლის საიუბილეო სადამოზე, რომელიც 1972 წელს გადაუხადეს. კაცი, რომელსაც თავის თავზე ლაპარაკი არასდროს ჰყვარებია, მაგრამ მაინც მოვიდა ის აღიარება, რასაც „კულტურის დამსახურებული მუშაკი“ ჰქვია. დღეს ბედნიერია სევო. ქალბატონ თამართან ერთად სამი ვაჟკაცი გაზარდა. სამივე შრომისმოყვარე. 8 შვილიშვილი ჰყავს, ახლახან დიდი პაპაც გახდა.

ვუსურვოთ მას დიდი ხნის სიცოცხლე. დარწმუნებული ვარ, ჩემს სურვილს შეუერთდება ყველა, ვინც ბატონ სევერიანის პიროვნებას იცნობს, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს და დამტკბარა მისი შთაგონებული ხელოვნებით.

ბ. ბაქრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის სადარაჯოზე

აცრა

საუკეთესო პროფილაქტიკაა

ცენტრალური ტელევიზია და „მედიცინსკაია გაზეტა“ გვატყობინებენ, რომ ქ. მოსკოვში ადგილი აქვს დიფთერიით დაავადების აფეთქებას და სიკვდილის შემთხვევებსაც. დიფთერიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრების ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოში დიფთერიის დაავადების შემთხვევები თითქმის ლიკვიდირებულია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთ რეგიონში ადგილი აქვს დაავადების ერთეულ შემთხვევებს, ისიც ძირითადად აუცრელ ბავშვებში.

დიფთერია ანუ ხუნაგი ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა შორის ერთ-ერთი მძიმეა. დღეს, როდესაც ჩვენს ხელთაა დიფთერიით დაავადების საწინააღმდეგო საშუალება პროფილაქტიკური აცრების სახით, კიდევ ერთხელ გვინდა მშობლებს შევახსენოთ, რომ პროფილაქტიკურ აცრას ბავშვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ინფექციური დაავადებები ბავშვებში ხასიათდება მძიმე და თავიანებური მიმდინარეობით.

რა ხდება ორგანიზმში პროფილაქტიკური აცრის დროს?

ორგანიზმში ხელოვნური გზით შეყვანილი მიკრობები გამომუშავებენ იმუნო ან ანტისხეულებს, რომელთაც შესწევთ უნარი დაშალონ, შეაწებონ, მოსპონ არა მხოლოდ დახოცილი და დასუსტებული, არამედ შემდეგში ორგანიზმში მოხვედრილი, მძლავრი შესაბამისი დაავადების გამომწვევი უნარის მქონე მიკრობებიც. ასეთი გზით გამომუშავებულ იმუნიტეტს აქტიურ იმუნიტეტს უწოდებენ. აქტიური იმუნიზაციის პირობებში იმუნოსხეულები დროთა განმავლობაში თანდათან მაინც კარგავენ ძალას, ამიტომ ყოველ 5-6 წელიწადში ერთხელ აცრა მეორდება, რასაც რევაქცინაციას უწოდებენ, იგი აძლიერებს და ამტკიცებს გამომუშავებულ იმუნიტეტს.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში შემოღებულია ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლომიელიტის, წითელას, ყბაყურას საწინააღმდეგო აცრები. იგი სავალდებულოა ყველა ბავშვისათვის. არსებობს სხვა ინფექციური დაავადებების—მუცლისტიფის, ბრუცელოზის, ქოლერის, ტულარემიის საწინააღმდეგო აცრაც, რასაც მაშრ მიემართავთ, როდესაც ამ დაავადებათა გარეულების საშიშროება იქნება.

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრა, ბცჟ-ს ვაქცინაცია, ტარდება სამშობიარო სახლში ბავშვის სიცოცხლის მე-5-7 დღეზე. განმეორებითი აცრა ანუ, რევაქცინაცია ტარდება 7 წლის, 11-12 წლის და 16-17 წლის ასაკში.

რევაქცინაცია უტარდებათ კლინიკურად ჯანმრთელებს, რომელთაც მანტუს რეაქცია უარყოფითი აქვთ. დიფთერიის, ტეტანუსის, ყივანახველას ვაქცინაცია ბავშვებს უტარდებათ 3 თვის ასაკში. ვაქცინაცია ტარდება სამჯერადად, თვენახევრის ინტერვალით. რევაქცინაცია კეთდება პირველადი ვაქცინაციის დამთავრებიდან 1,5-2 წლის შუალედში, 9-10 წლის ასაკში და შემდეგ 10-12 წლის ინტერვალით მოზრდილ მოსახლეობაში. პოლიომიელიტის აცრა ბავშვებს უტარდებათ 3 თვის ასაკში, სამჯერადად თვენახევრის ინტერვალით, პირველი ორი რევაქცინაცია ტარდება ორჯერადად 1-2 წლის და 2-3 წლის ასაკში თვენახევრის ინტერვალით. მესამე—მეოთხე—ერთჯერადად 7-8 წლის და 15-16 წლის ასაკში. პოლიომიელიტისა და დიფთერიის ყივანახველა—ტეტანუსის საწინააღმდეგო აცრა ტარდება ერთდროულად ერთსა და იმავე დღეს. წითელას საწინააღმდეგო აცრა

(დასასრული მე-4 გვერდზე).

სამსახურში

ბია სწორედ ჩვენი ქვეყნის ტრაგიზმის გამომსახველი, რომლის ხელახლა დასახლებისათვის ხალხი ქმნის ფონდებს, გროვდებიან სწორედ ჩვენი ქვეყნის ტრაგიზმის გამომსახველი, რომლის ხელახლა დასახლებისათვის ხალხი ქმნის ფონდებს, გროვდებიან სწორედ ჩვენი ქვეყნის ტრაგიზმის გამომსახველი, რომლის ხელახლა დასახლებისათვის ხალხი ქმნის ფონდებს, გროვდებიან

ება მნიშვნელოვანი თანხები. ბავშვები თვით საუბრობენ სამცხე-ჯავახეთის შესახებ. ახარებთ ახალი ქართული ოჯახები, აფიქრებთ კვლავ არსებული პრობლემები.

მოსწავლეები სიყვარულით ახასიათებენ სოფელ ვაშლოვანს—ლამაზსა და მომხიბვლელს, მდიდარს, ღვინის ქვეყანას, ზურაბ ქართველაძის სამეუფოს. წარმოთქვამენ პოეტური ხატების შემცველ წინადადებებს. ხაზს უსვამენ ტრადიციულ ჩვევებს.

მოსწავლეები შეიგრძნობენ ესთეტიკურ სიამოვნებას, აღიქვამენ სოფლის სიძლიერეს, თავადის ოჯახის სიმდიდრეს. მათი პატარა ქალის სილამაზეს.

კლასს დავაკვირვებ „ორ ბაჯაგუნა ლეკზე“, რომლებიც გამდიდრების სურვილით შეპყრობილნი ადამიანებით ვაჭრობას საუბარს გადავიტან თანადროულ ვითარებაზე. მივუსადაგებ დღევანდელ დაძაბულობას საქართველოში, ვესაუბრები ლეკთა თარეშზე ყვარელში, მოვიშველიებ ფაქტებს ტელევიზიით, პრესით გადმოცემულს. წარმოვადგენ მაშინდელ ქართველ თავკაცთა უგულობას, რომლებმაც ნაწილ-ნაწილ გაყიდეს საქართველო და მკვიდრს სამკვიდრო დაუკარგეს. განსაკუთრებულ ყურადღებას შევაჩერებ სამაჩაბლოს სისხლიან ტრაგედიაზე, ძმათა შორის გამოიშველ ბნელ ძალაზე.

ჩემი მიზანია, აღვზარდო მოსწავლეებში მშობლიური მიწის სიყვარული. ჩამოვაყალიბო ვაჟები მამულის დამცველ ვაჟკაცებად, გოგონები—ნამდვილ ქართველ ქალებად, მამულს რომ უზრდიდნენ ერთგულ შვილებს. ვასწავლო მტრისა და მოყვრის გარჩევა, ჩავაგონო სიმართლე. ამ მიზნით ვაცნობ მედეა კახიძის ლექსს „უკუნითი უკუნისამდე“. „ნეტა ვინ გვისპის ამ მძიმე სასჯელს... თუ მოვა ის დრო, შინ მშვიდად დავჯდეთ?! ფუძე-საძირკველს ვინ აცლის ამ ჭერს, ცრუა თუ მავნე—ყველა ფეხს გვაჭერს“.

პოეტი შ. ნიშნიანიძე სიმართლით იკვლევს გზას მომავლისაკენ და კიცნავს იმ უგვანო შვილთ, რომელთაც მამული კი არ გაუხდიათ სალოცავ ხატად, არამედ პირადი განდიდების მანიით შეპყრობილნი არაფერს ერიდებიან ყალბი კარიერის მისაღწევად.

ასევე მოსწავლეებს გავაცნობ მ. ფოცხიშვილის, მ. ლებანიძის, მ. ბარათაშვილის და სხვათა ლექსებს. იქვე ვაწყდებ იაკობის ბრძნულ გამონათქვამსაც „არა გვგონია ვისთვისმე უცნობი იყოს ის აზრი, რომ მამულს სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი ქვეყნის ბედნიერებისათვის. ელემენტარული აქსიომაა, რომ ბედნიერება ქვეყნისა მით უფრო მტკიცე გზაზედა სდგას, რამდენადაც ბევრი ჰყავს მას გულშემატკივარი და ერთგული მამულიშვილი“.

ბავშვებს აღმზრდელობითი საუბარიც არ სჭირდებათ, თვითონვე კისრულობენ ბუნებასთან მეგობრობას, იმ პრობლემების გადაჭრაში მცირედი წვლილის შეტანას, მათ ირგვლივ რომ არსებობს.

ისიც სარწმუნოა, ვეუბნები კლასს, მაგდანი—ბუნებით სათნო და კეთილი გულის, არ შეიძლებოდა მორწმუნე არ ყოფილიყო მთელი თავისი არსებით. ღმერთი იყო მისი მფარველი, მან ჩააგონა შვილისათვის ტკბილი ჰანგი ეგალობა ვარამის განსაქარვებლად. ბუნებაც თანამგრძნობი, ლამაზი და მიმზიდველი, ღმერთისმიერი იყო იმ დილით.

რაკი სარწმუნოებას აეხსნა ბორკილი და გათავისუფლდა ტყვეობისაგან, მოსწავლეებიც უნდა ვაზიაროთ უფლის მადლს. მათ იციან „მამაო ჩვენო“, მნიშვნელოვანი ფაქტები „ბიბლიიდან“, წმინდა ნინოს მოღვაწეობა, ჯვარი და მისი მნიშვნელობა, ქრისტეს ათი მცნება, ზოგი რამ „სახარებიდან“.

ეს ზნეობრივი აღზრდის კარგი საშუალებაა.

მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილეს ქეთოს კარგქალობაზე. ლეკებსა და ქართველებს შორის ძმობა-მეგობრობაზე, დაუკავშირეს თანადროულობას: კარგი ადამიანობა, სიკეთე და ერთგულება დაძლევს მტრობას, გადალახავს იმ ბარიერს, რაც ჩვენსა და სხვა ერების ექსტრემისტებს შორის სუფევს.

ნაწარმოები დაგეგმილი და დასურათებულია. ყოველ თავს თავისი იდეა, ქვეტექსტები გააჩნია. საინტერესოა სურათოვანი აღწერა მოვლენებისა. ბავშვები ხატავენ ეპიზოდებს წარმოსახვით, მაყურებელ ფერებში აქვთ მოცემული ის სურათი, რომელშიც სიკეთეა, მუქ ფერებში—სადაც მწუხრია. აქედან დასკვნაც ადვილი გამოსატანია, რა სწყინთ, რა ახარებთ.

ბავშვებს ვავალებ საწერ თემებს. შესრულებულიდან ყველაზე მოსაწონი იყო „რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში“.

მწარე განერიდოს და სიტკბოება დაებედოს ჩვენს მრავალტანჯულ ქართულ მიწას, მრავალნაწამებ ქართველ ერს აწ და მარადის!

ამინ!

ნ. ფრუიძე,

ალპანის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცრა საუკეთესო პროფილაქტიკაა

(დასასრული).

წარმოება 12 თვის ასაკში, ყბაყურას საწინააღმდეგო აცრა ტარდება 15-18 თვის ასაკში.

სად და როგორ ტარდება აცრები? ყველა აცრა უნდა ჩატარდეს მხოლოდ პოლიკლინიკაში, სადაც მოწყობილია სპეციალური ამცრელი კაბინეტი; ბავშვები, რომლებიც ბაგა-ბაღში და სკოლაში დადიან, უნდა აიცრან იქვე დაწესებულებაში. ბინაზე აცრა სასტიკად აკრძალულია.

ყველა პროფილაქტიკური აცრის შემდეგ ბავშვი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს, თუ დედამ აცრის შემდეგ ბავშვს ნორმალური მდგომარეობიდან რაიმე გადახრა შეამჩნია, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ექიმს.

წესითა და კალენდარული ვადებით ჩატარებული პროფილაქტიკური აცრა დაიცავს ბავშვს ინფექციური დაავადებისა და მის მიერ გამოწვეული გართულებებისაგან. დაავადების შემთხვევაში კი უზრუნველყოფს ავადმყოფობის მსუბუქ მიმდინარეობას.

პატივცემულო მშობლებო! ნუ დაარღვევთ აცრის კლინიკურ ვადებს, ამით ხელს შეუწყობთ თქვენი შვილის ჯანმრთელობას.

ნ. უმიკაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს პედიატრიის სკ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში. რესპუბლიკის მთავარი პედიატრი. რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

კინო—

„თეთრი ბაირაღები"

კიდევ ერთ სიახლეს ვთავაზობთ ქალაქის კინოთეატრ „სპარტაკის" მაყურებელს. ამჯერად ნაჩვენები იქნება ახალი ქართული, სამსერიანი მხატვრული ფილმი „თეთრი ბაირაღები", რომელიც გადაიღო ცნობილმა კინორეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით.

ფილმის შინაარსი ჩვენი მაყურებლისათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ მისი დადგმის თანამედროვე გააზრება, მძაფრი ცხოვრებისეული სიუჟეტებისა და ადამიანური კაცთმოყვარეობის ურთიერთდაპირისპირება ნაწარმოებს ახალ სიცოცხლეს აძლევს.

ამ ფილმის ყურებისას მაყურებელთა ცხოველ ინტერესს ისიც იწვევს, რომ მასში დაკავებულია ქართველ მსახიობთა საუკეთესო შემადგენლობა.

კინოფიკაციის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ის მდგომარეობა, რომ ამ დღეებში მძაფრი ყინვებია, ხოლო ქალაქში ცენტრალური გათბობა არ მუშაობს და ამდენად ქალაქის კინოთეატრიც გათბობის გარეშეა, შემოიღო კინოფილმების ჩვენების ახალი გრაფიკი.

19 და 20 თებერვალს, კინოფილმ „თეთრი ბაირაღების" დემონსტრირებისას სეანსები დაიწყება 11, 14 და 17 საათებზე. ასეთივე გრაფიკით იქნება ნაჩვენები 21 და 22 თებერვალს [illegible] ევ ერთი კომერციული, ამჯერად ახალი ინდური ფილმი „ღატაკთა მეგობარი".

„საქკინო ვიდეოგაერთიანების" მიერ მოწყობილი ამ კინოჩვენებების ბილეთები კომერციული ფასისაა.

მინდა მკითხველმა იცოდეს ისიც, რომ კინოთეატრის დარბაზის გათბობის პრობლემასთან დაკავშირებით საღამოს 8 საათიანი სეანსი გაუქმებულია და დღეში ორი სეანსი ჩვეულებრივად ჩატარდება დღის 3 და 5 საათებზე. ასეთი გრაფიკი გაგრძელდება მარტის ბოლომდე.

გ. ხეცურიანი.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

სოფო არჩილის ასულ ომანაძეს
გოჩა თამაზის ძე სვანიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძძლიერი ოჯახი. სიკეთე, სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

ლელა სილაგაძე. ვალიდა ბენდელიანი, ელისო. გულო. ბელა გოლეთიანები, ხათუნა კოპალიანი.

იამზე ზურაბის ასულ ჭაავას
ზურაბ დომენტის ძე აბაშიძეს

გილოცავთ ბედნიერებას, აკვანთა სიმრავლეს გისურვებთ.

მამუკა, პირიმზე, შერმადინ აბაშიძეები.

გილოცავთ

ბიჭიკო სტეფანეს ძე შკუბულიანს

ბაბუ! გილოცავთ დაბადების დღეს, 60 წლის შესრულებას, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ზურიკო და მერაბ შკუბულიანები.

სოფო ვალოდიას ასულ გოგიძეს
ბადრი აკაკის ძე ჭოხონელიძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, აღზრდილიყოს ერის სასახელო ქალი. კიდევ მრავალ სიხარულს აეხმიანებინოს თქვენი ფუძე-ჭერი.

ბექა. ბელა, როლანდ. მურცხვალაძეები.

ბიჭიკო სტეფანეს ძე შკუბულიანს

გილოცავთ დაბადებიდან 60 წლის შესრულებას.

ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს აღმასკომის აპარატის თანამშრომლები.

ინგული პარიმონის ასულ ახვლედიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. დასწრებოდეთ მრავალს ყველა კეთილის მსურველებით. ყოფილიყოთ დღეგრძელი და ბედნიერი დედა. ჯანმრთელობა, სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

გულიკო გვიშიანი. ლეილა ჩიქოვანი. თინა ირემაძე. ზინა ფოფხაძე, ამალია სილაგაძე. დუდუშა ახვლედიანი. ლია ფრუიძე. ბელა გოლეთიანი.

თინა და აბესალომ ცხვედიანებს

გილოცავთ ქალიშვილის ძის და ვაჟიშვილის თეიმურის ბედნიერებას. შექმნათ ფუძძლიერი ოჯახი. სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს მათი თანამგზავრი.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი.

შვილები ქორა, დემური, რძლები მანანა ძოწენიძე, მზია ლექვთაძე, სიძეები ამირან გურგუჩიანი. ჰამლეტ გოლეთიანი, შვილიშვილები ელიკო, ნინო, ნანა, გოგიტა, ირმა, ირინე, ფიქრია, ლალი, ლელა, შვილთაშვილები ნათია. ირაკლი, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვარლამ ერმალოს ძე ხვადაგიანი.

დაკრძალვა 17 თებერვალს, კვირას, სოფ. ზოგიშში.

უახლოესი მეზობლები დადაში, ოლეგ. დიდიმო, გურამ გიორგობიანები, ბუხუტი. სევარიონ, ფედია, თენგიზ, ზურაბ, დალოსტი ხეცურიანები, გრიშა, ინდისი ყურაშვილები, იური ჩხეტიანი, შამშე ირემაძე, დიდიმო აბაშიძე, ამირან ლაკვეხელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნაზიკო ხეცურიანი.

მურადი ხეცურიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნაზიკო ხეცურიანი.

ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანა და გოგიტა ხვადაგიანებს ბაბუის

ვარლამ ერმალოს ძე ხვადაგიანის

გარდაცვალების გამო.

გიული, ამური ნემსწვერიძეები თანაუგრძნობენ ელისო, ნინო, ნანა, გოგიტა ხვადაგიანებს ბაბუის

ვარლამ ხვადაგიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა

სარა კოპალიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რეზო სივსივა, ზურაბ თუთისანი, კარლო თოთაძე, იაგო ყურაშვილი, რობერტ გოდოლაძე, ჯიბილო მიქაძე, ლია ჭაბუკიანი, ნორა სალინაძე, ვაჟა კვენატაძე, პლატონ ირემაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პაშა ჩარკვიანი.

თინიკო, ნორიკო, ნატო, დარეჯან მახარობლიძეები, ციცო ჩაჩხიანი, ლალი, ციალა კვენეტაძეები, გიული გვიშიანი, მზია ბურჯალიანი, თამილა გურასაშვილი, ფერიდა გოგებაშვილი, მარიკა ონიანი თანაუგრძნობენ ლია და არსენ ლეშკაშელებს დედამთილისა და დედის

ნადია ლეშკაშელის

გარდაცვალების გამო.

თინა ახვლედიანი შვილებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

სარა კოპალიანი.

ვერიკო მეშველიანი, დარეჯან, ელენე, ნუგზარ ქარსელაძეები, ნინო სადილიანი, ია ჯინჭარაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი

ავთო ზურაბის ძე ქარსელაძე

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის IX კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი მზია ბურჯალიანი თანაუგრძნობენ ეკა ლეშკაშელს ბებიის

ნადია ლეშკაშელის

გარდაცვალების გამო.

ვარლამ ხეცურიანი, რომან ახვლედიანი, გოგი შუბითიძე, თემურ ხაბულიანი, თამაზ ყურაშვილი, ზაურ კვირკაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პაშა ახვლედიანი-ჩარკვიანი.

სოფელ ზოგიშის მოსახლეობა იუწყება

ნაზი გრამიტონის ასულ ხეცურიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დავით ნემსწვერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გრიშა ანდრიას ძე შეკიშვილი

გენო გურგუჩიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნაზი და გურამ გზობავებს ძმისა და ცოლისძმის

ჯუმბერ ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის 1986 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ფატი და კახა ლეშკაშელებს ბებიის

ფატი (ნადია) ლეშკაშელის

გარდაცვალების გამო.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

ნ. ნ ე მ ს ა ძ ე.

ჯიმშერ ყვირილიანი, გიული ხეცურიანი, კუკური მდივანი, მაიზერ, ტიტიკო, მურადი კოპალიანები, შოთა ლიპარტელიანი, გურამ ჩარკვიანი, ლენა, მიშა, ლეო ყურაშვილები, გერასიმე ცხვედიანი, მარიამ გამსახურდია, შალვა, ნუკრი სალინაძეები, მანანა გიორბელიძე, თამაზ სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან

სარა აქვსენტის ასულ კოპალიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

კინოფიკაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თემურ ბურჯალიანს სიძის

კაკო გაგუას

გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილი გურამ დავითულიანი, დეიდაშვილი აკაკი ლიპარტელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სარა აქვსენტის ასული მეშველიანი-კოპალიანი.

ლილი გურგუჩიანი, ქენია ბობოხიძე, ჯონი მეგრელი, ონერ ნემსწვერიძე, ოთარ გურგუჩიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ვენერა ჩარკვიანს დედის

პაშას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზურაბ ჩიქოვანს ბიძის

აკაკი ჯაფარიძის

გარდაცვალების გამო.

ქეთო, რეზო, ლეილა, ამირან, აზა ახვლედიანები იუწყებიან

აკაკი სპირიდონის ძე ჯაფარიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ტარიელ გუგავა ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ილია (კაკო) სპირიდონის ძე ჯაფარიძე.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის—22-85, პასუხისმგებელი მდივნის—22-[illegible], სასოფლო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-48. სტამბის დირექტორის—22-17, საბუღალტრო სამსახურის—22-23. გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. შეკვეთა №14 ტირაჟი 4633

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.